MES 4 22 0000217159

02/03/2022

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2022 წლის 16 თებერვალს.**

სხდომის დაწყებამდე საბჭოს წევრებს, ექსპერტებს და დაწესებულებებს გაეგზავნა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვას.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/89170416579?pwd=VHhNSkNlbnUyRW5wMWoycHkrUzlwUT09

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - შპს „თბილცემენტ გრუპის“ ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარების პროექტის ხელმძღვანელი / საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მარიამ ჩაგელიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში - ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი / საბჭოს წევრი;
ქრისტინა რზგოევა - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს წევრი;
ნატალია კვაჭანტირაძე - საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდან გიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
დეა აბულაძე - სსიპ - ახალგაზრდობის სააგენტოს პროგრამების მართვის დეპარტამენტის „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ქვეპროგრამის - „ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობა“ - პროგრამული განვითარების კოორდინატორი / საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ გულედანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:
სერგო სვანაძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი,
ნანა შარაბიძე - პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი,
ნინო დოლიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სამკერვალო წარმოება“ ხელმძღვანელი,
იზა ოჩხიკიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბაღის დიზაინი“ ხელმძღვანელი,
მარეხი ნიკოლაძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელი,
თამარ კოხრეიძე - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუქტ2“:
თამარ ზაქარაშვილი - დირექტორი,
კონსტანტინე ქავთარაძე - ფინანსური მენეჯერი,
ელისო ჯიქიძე - ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი.

შპს ბარაკონი:
გიორგი ფოფხაძე - დირექტორი,
ნინო ხაჩიძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯი:
ნინო ტეტიაშვილი - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
თამარ აბულაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვნელი,
ეკა ბუზარიაშვილი - პროფესიული მასწავლებელი.

შპს „საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორი“:
სოფიკო ყულეჯიშვილი - ხარისხის მართვის მენეჯერი,
დენიზ ცინცაძე - სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი.

შპს ბათუმის სამედიცინო აკადემია:
რეზო უზუნაძე - დირექტორი,
შორენა უზუნაძე - დირექტორის მოადგილე,

მზია ბაკურიძე - სტრატეგიული განვითარებისა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

ა(ა)იპ - კოლეჯი განთიადი“:
ანა დათუაშვილი - დირექტორი,
კახაბერ კახიაშვილი - დირექტორის მოადგილე,
ლელა სამხარაძე - ხარისხის მართვის მენეჯერი,
ნათია გოგინაშვილი - იურისტი.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ გიორგობიანი,
ქეთევან ღვანიძე,
ხათუნა ფარეიშვილი,
თამარ ახალაძე,
თეა ლილუაშვილი,
მანანა მოისწრაფიშვილი,
მაია ომიაძე,
თათია კაციტაძე,
შორენა ხუბუნაია,
ირმა არსენაშვილი,
ნინო გორგოშაძე,
ელენე კაკაბაძე,
ქეთევან ჭუჭულაშვილი,
ვახტანგ ბოგველიშვილი,
ირმა ღარიბაშვილი,
მამუკა ხოშტარია,

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:08 საათი.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.
სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს მდივანი და მისი ფუნქციის შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ქრისტინა რზგოევას, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-თვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
5. შპს ბარაკონის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
6. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისათვის „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
7. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
8. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
9. შპს ბათუმის სამედიცინო აკადემიაში განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;
10. ა(ა)იპ - კოლეჯ „განთიადში“ განხორციელებული მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გიორგობიანმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის 1386020 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - თამარ გიორგობიანი, წევრი - ქეთევან ღვანიძე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში

ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება. ამ მიზნით, ექსპერტების ჯგუფის მიერ 2021 წლის 23-24 დეკემბერს უნივერსიტეტში (მისამართი: ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზირი ქ. N21) განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, კოლეგიალურ და საქმიან ატმოსფეროში.

გამოვლინდა ერთი **ხარვეზი**:

2.2.1.4 მიუხედავად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გამოვლენილი შესაბამისი ცოდნისა და უნარებისა სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით და იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტი პროგრამის ხელმძღვანელის კომპონენტში ითვალისწინებს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას (სტანდარტის ეს მოთხოვნა დაწესებულებას თავის მარეგულირებელ დოკუმენტებშიც აქვს გაწერილი - პროგრამის ხელმძღვანელისაგან ითხოვს აკადემიურ ან პროფესიულ განათლებას შესაბამის დარგში), მისი კვალიფიკაცია არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს, რადგან „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი კვალიფიკაციით ინგლისური ენის ბაკალავრია.

გაიცა **რეკომენდაციები**:

2.2.1.1 იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს დაწესებულებას ცხადად უნდა ჰქონდეს გააზრებული პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობა როგორც თვითონ დაწესებულებაში, ასევე პრაქტიკის ობიექტზე, სასურველია, მემორანდუმში/ხელშეკრულებაში წინასწარ გაიწეროს პროფესიული სტუდენტების ის რაოდენობა, რაზეც პარტნიორი კომპანია მზაობას გამოთქვამს.

2.3.1.1. დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის მიზნით, სასურველია, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრმა გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ფაკულტეტების ქუდქვეშ არსებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში.

2.2.1.4 მიუხედავად პროგრამის ხელმძღვანელის მიერ გამოვლენილი შესაბამისი ცოდნისა და უნარებისა სკოლამდელი აღზრდის მიმართულებით და იმის გათვალისწინებით, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტი პროგრამის ხელმძღვანელის კომპონენტში ითვალისწინებს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას, რაც დაწესებულებას თავის მარეგულირებელ დოკუმენტებშიც აქვს გაწერილი პროგრამის ხელმძღვანელთან მიმართებაში (პროგრამის ხელმძღვანელისაგან ითხოვს აკადემიურ ან პროფესიულ განათლებას შესაბამის დარგში), დაწესებულებამ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედ ხელმძღვანელთან ერთად, შესაბამისი კავალიფიკაციის მქონე თანახელმძღვანელიც უნდა დანიშნოს, რაც გააძლიერებს პროგრამას, მით უმეტეს, რომ მოქმედ ხელმძღვანელს სათანადო პრაქტიკული გამოცდილება ამ მიმართულებით უკვე დაგროვილი აქვს, ხოლო ახალი თანახელმძღვანელი აღჭურვილი იქნება თეორიული ცოდნით ამ სფეროში და ორი თანამახელმძღვანელის კოლაბორაცია, პრაქტიკული და თეორიული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, უდავოდ წაადგება პროგრამის განვითარებას (აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელიც დანიშნა).

2.2.1.5 სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე.

ექსპერტმა დეტალურად ისაუბრა პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე თითოეულ კრიტერიუმთან მიმართებაში.

2.1.1.1 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP-QA და პროცედურები, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის ინიცირების, დაგეგმვისა და დამტკიცების ფაზები და ვადები. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით უნდა გამომდინარეობდეს უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე.

ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების იდეის ავტორ(ებ)ის მიერ მყარი არგუმენტებით ხდება ახალი პროგრამის დამატების საჭიროების დასაბუთება. დაწესებულებამ წარმოადგინა „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დოკუმენტი, სადაც უნივერსიტეტი ასაბუთებს, რომ არის მრავალდარგოვანი საგანმანათლებლო დაწესებულება მრავალწიანი ისტორიით, ტრადიციებითა და გამოცდილებით, მას გათავისებული აქვს თავისი როლი ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის წინაშე და მიზნად ისახავს კეთილსინდისიერად ემსახუროს საზოგადოებას (რაც მისიითაც დასტურდება). უნივერსიტეტი პროფესიული განათლების ერთ-ერთი მსხვილი პროვაიდერია რეგიონში და მისი ზრუნვის საგანი სტუდენტებისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, და იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი 2016 წლიდან ახორციელებდა „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, აქვს სერიოზული გამოცდილება ამ კუთხით, ფლობს სათანადო ადამიანურ, სასწავლო და მატერიალურ რესურსს, რაც ბავშვის აღზრდასა და ბავშვზე ზრუნვას უკავშირდება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, ასევე მოწვეული სპეციალისტები, დოქტორანტები და პრაქტიკოსები. დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ქუთაისში დღეის მდგომარობით დიდია მოთხოვნა ქალაქში არსებულ სახელმწიფო და კერძო ბაღების მხრიდან მაღალკვალიფიციურ, პრაქტიკული უნარ-ჩვევების მქონე სპეციალისტებზე. დოკუმენტში მოყვანილია საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდის 2019 წელს ჩატარებული მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შედეგები, რომლის თანახმად, 3-5 წლის ბავშვების 62% დადიოდა ბაღში, რაც ნიშნავს, რომ სპეციალისტების ნაკლებობის გამო არ არის სათანადო რაოდენობის საბავშვო ბაღი, შესაბამისად, ოჯახები მოკლებული არიან შესაძლებლობას, ბავშვები ბაღში მიიყვანონ და სკოლამდელი აღზრდის სიკეთეებით ისარგებლონ. დაწესებულებას მჭიდრო კონტაქტი აქვს ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან, რომელთანაც გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც დაწესებულების სტუდენტებისათვის პრაქტიკის გავლასა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობას ითვალისწინებს. საბავშვო ბაღებში დასაქმებულთა საშუალო ასაკობრივი ზღვარი 50 წელია, შესაბამისად, დიდია მოთხოვნა ახალგაზრდა კვალიფიციურ კადრებზე. ექსპერტთა ჯგუფის აზრით, დაწესებულების გადაწყვეტილება „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2.1.1.2 „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის სხვა პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით (#01–04/103 13.10.2020) და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1.1.3 უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია პროფესიული საგანმანათლებლო პრორამისათვის პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს როგორც სასწავლო გარემოს სახეობის (A,B,C), ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთება პროგრამის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც დაწესებულება

ზღვრულ რაოდენობად განსაზღვრავს ჯამში 40 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო პროგრამაზე თითოეული ჩარიცხვისათვის, პროფესიულ სტუდენთა რაოდენობა განისაზღვრება 20 პროფესიული სტუდენტით. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებასთან. ბაგა-ბაღების გაერთიანება იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლისა და დასაქმების საქმეში.

2.1.1.4 წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. დაწესებულებამ წარმოადგინა მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

2.1.1.5 „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შიცავს არჩევით მოდულებს.

2.1.1.6 აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლებრივი ფორმის მიხედვით არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 09 სექტემბრის N132/ნ ბრძანებით დამტკიცებულია უნივერსიტეტის წესდება, რომლის მე - 8 მუხლის ბ) პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამებს ამტკიცებს აკადემიური საბჭო. „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ნოემბრის N7(21/22) დადგენილებით, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

2.1.1.7 „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებუალია „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

2.1.1.8 „აღმზრდელის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე და განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა (მოდულების ბლოკში ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულები (A2 და B1)) და სასწავლო გეგმას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

2.2.1.1 წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B გარემო და შესაბამისი აღჭურვილობა 20 პროფესიულ სტუდენტზე. აღნიშნულ პროგრამაზე უნივერსიტეტს სურს 40 პროფესიული სტუდენტის მიღება (ორ ნაკადად, თითო მიღებაზე 20 პროფესიული სტუდენტი). საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ ითვალისწინებს ორი პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულის სწავლებას: „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან. პროგრამაზე სტუდენტთა მიღების შემდეგ გაფორმდება კონკრეტულ ბაღთან ხელშეკრულება პრაქტიკული კომპონენტის გავლასთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იქნება მოდულის სახელწოდება, მოდულის მიმდინარეობის ვადები, პროფესიული სტუდენტების რაოდენობა და ინფორმაცია მატერიალური რესურსის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა მსგავსი ხელშეკრულების ნიმუში სხვა რომელიმე პროგრამის ფარგლებში. ხელშეკრულების წარმოდგენილი რამდენიმე ნიმუშის მიხედვით, უნივერსიტეტი პარტნიორ

კომპანიას პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან ერთი თვის შემდეგ.
იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს დაწესებულებას ცხადად უნდა ჰქონდეს გააზრებული პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობა როგორც თვითონ დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტზე, სასურველია, მემორანდუმში/ხელშეკრულებაში წინასწარ გაიწეროს პროფესიული სტუდენტების ის რაოდენობა, რაზეც პარტნიორი კომპანია მზაობას გამოთქვამს.
პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.
2.2.1.2 „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 24 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 22 პროფესიული მოდულის, ხოლო 2 ზოგადი მოდულის განმახორციელებელი პირია. თითოეულ პროფესიულ მასწავლებელთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მხარეები იღებენ ვალდებულებას მომავალში მათ შორის გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება შრომის კოდექსით განსაზღვრული არსებითი პირობები. ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებისაგან გამოითხოვა მასწავლებელთა დატვირთვის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პირების დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.
2.2.1.3 ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მხრიდან მოხდა „აღმზრდელის“პროფესიული პროგრამის განმახორციელებელ პირთა პირადი საქმეების გადამოწმება, საიდანაც დადგინდა, რომ პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები მათი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით უფლებამოსილი არიან განახორციელონ აღნიშნულ პროგრამაში შემავალი მოდულები, გარდა ამისა, მათთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტზეა დასაქმებული და ჩართულია აკადემიური პროგრამების განხორციელებაში, თითქმის ყველა მათგანს „ბაგა–ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება. განმახორციელებლებმა ისაუბრეს საკუთარი საქმიანობის შესახებ და აღნიშნეს, რომ უშუალოდ იყვნენ ჩართულნი მოდულების შემუშავებისა და ადაპტირების პროცესში. ყველა მათგანს გავლილი აქვს ტრენინგ კურსები, რაც ადასტურებს მათი მხრიდან სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას.
2.2.1.4 ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე, გადამოწმებით დადგინდა, რომ აღნიშნულ პიროვნებას არ აქვს დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია, არის ინგლისური ენის სპეციალისტი და ამჟამად სწავლობს სადოქტორო პროგრამაზე განათლების მიმართულებით, აქვს მოდულების სწავლებისა და „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელობის გამოცდილება, ხოლო „აღმზრდელის“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში ორი მოდულის განმახორციელებელი.
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტი პროგრამის ხელმძღვანელის კომპონენტში ითვალისწინებს შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას, რაც დაწესებულებას თავის მარეგულირებელ დოკუმენტებშიც გაწერილი აქვს (პროგრამის ხელმძღვანელისგან ითხოვს აკადემიურ ან პროფესიულ განათლებას შესაბამის დარგში), დაწესებულებამ „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოქმედ ხელმძღვანელთან ერთად, შესაბამისი კავალიფიკაციის მქონე თანახელმძღვანელიც უნდა დანიშნოს, რაც გააძლიერებს პროგრამას, მით უმეტეს, რომ მოქმედ ხელმძღვანელს

სათანადო პრაქტიკული გამოცდილება აქვს უკვე ამ მიმართულებით დაგროვილი, ხოლო ახალი თანახელმძღვანელი აღჭურვილი იქნება თეორიული ცოდნით ამ სფეროში და ორი თანამახელმძღვანელის პრაქტიკული და თეორიული ცოდნა და გამოცდილება უდავოდ წაადგება პროგრამის განვითარებას (აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და „აღმზრდელის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ხელმძღვანელთან ერთად თანახელმძღვანელიც დანიშნა).

საბჭოს თავმჯდომარემ 2.2.1.4 კომპონენტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას პრობლემა აქვს ადმინისტრირებაში, რისი გამოსწორებაც შესაძლებელია რეკომენდაციით. პრობლემა არ მდგომარეობს სწავლის შედეგებზე გასვლასა და ხელმძღვანელის კომპეტენციაში, ვინაიდან პირს აქვს საკმაო გამოცდილება. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარე არ იზიარებს ექსპერტების მიერ შეუსაბამობის დაფიქსირების ფაქტს. კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც დასძინა, რომ დასკვნის საბოლოო ვარიანტის დაწერამდე დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის ეტაპზე წარმოადგინა ინფორმაცია თანახელმძღვანელის დანიშვნის შესახებ, რაც ასევე გასათვალისწინებელია. თუკი დაწესებულების რეგულაციაში, რომელიც ეხება პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციას არის პრობლემა, შესაძლებელია განვითარების რეკომენდაციის გაცემა მის ჩასასწორებლად. საბჭოს თამჯდომარის შეფასებით, აღნიშნული ხარვეზად ვერ კვალიფიცირდება და არის სრული შესაბამისობა.

2.2.1.5 ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს საკმაოდ დიდი სამკითხველო დარბაზი, მოდულით გათვალისწინებული საგანმანათლებლო მასალის მიწოდებას როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით. სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდობობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე. უნივერსიტეტი გეგმავს ამ კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკის გარემონტებასა და უფრო თანამედროვე კომპიუტერული რესურსებით აღჭურვას.

2.2.1.6 პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში“. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მუშავდება სტუდენტის/სტუდენტების იმ კანონიერი ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც ლეგიტიმურია სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სსსმ პირთათვის იქმნება მოდულის განმახორციელებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.

ტექნიკური ხარვეზის გამო სხდომას დროებით დატოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ. პროგრამაზე საუბარი გააგრძელა დარგის ექსპერტმა. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია ხელმძღვანელს ჰქონდეს დარგობრივი გამოცდილება. აღნიშნული პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად არის ჩართული პროგრამებში, აქვს მოდულური სწავლებისა და ხელმძღვანელობის გამოცდილება, კითხულობს „აღმზრდელის“ ორ მოდულს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის გადაწყვეტილებით ხარვეზი დაფიქსირდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ხელმძღვანელს აღმზრდელად მუშაობის გამოცდილება არ აქვს, თუმცა ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს და შესაძლებელია მხოლოდ რეკომენდაციით შემოფარგვლა. საბჭოს თავმჯდომარის კომენტარის შესაბამისად, დარგის ექსპერტმა დააზუსტა, რომ აქცენტი გაკეთებულია მხოლოდ განათლების კვალიფიკაციის შეუსაბამობაზე, რომ პროგრამის ხელმძღვანელი არის ინგლისური ენის ფილოლოგი და არა აღმზრდელის სპეციალისტი. სხვა ნაწილში მას აქვს დარგის შესაბამისი კომპეტენცია და უნარები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე დაუბრუნდა სხდომას და განაგრძო პროგრამის კრიტერიუმებთან შესაბამისობის განხილვა.

2.2.1.7 სავარაუდო ბიუჯეტის ფორმა, რომელიც შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან, სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. რენტაბელობის ზღვარი დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 14 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით. წარმოდგენილი ბიუჯეტითა და ფინანსურ რესურსებზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დასტურდება, რომ დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

2.3.1.1 დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი EP-QA, რომლის ერთ-ერთი კომპონენტია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება. თითქმის ერთი წელი სრულდება უნივერსიტეტში ახალი სტრუქტურული ერთეულის - „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შექმნიდან. 2020 წლამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის ფაკულტეტებზე იყო მიბმული, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ყველა პროცესი (მათ შორის პროგრამის განხორციელება, შეფასება და განვითარება) ფაკულტეტების ქუდის ქვეშ მიმდინარეობდა. პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნა უნივერსიტეტმა პროფესიული განათლების უფრო მეტად ხელშეწყობისა და ხარისხიანად წარმართვის მიზნით, გადაწყვიტა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფაკულტეტებიდან არსებული ყველა დოკუმენტაციისა და მასალის გადმობარება და თავმოყრა, ამდენად, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა მოქმედი პროფესიული პროგრამების ფარგლებში ჩატარებული პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მასალის დათვალიერება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა მოგვაწოდა ინფორმაცია ახლად შემუშავებული გამოკითხვის ფორმების შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში ჩატარდება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის მიზნით, სასურველია, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრმა გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ფაკულტეტების ქუდქვეშ არსებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში.

2.3.1.2 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების პროცედურები მოიცავს სხვადასხვა კრიტერიუმებსა და ინდიკატორებს, მათ შორის დაინტერესებული მხარეების გამოკითხვას, შეფასების ინსტრუმენტების შეფასების ანალიზს, სწავლის შედეგების მაჩვენებლებს, ვერიფიკაციის პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დასკვნების ანალიზს მიღებული შედგები კი გამოიყენება პროგრამების განახლებისა და შემდგომი განვითარებისათვის. უნივერსიტეტის სტრუქტურა დაახლოებით ერთი წლის წინ შეიცვალა, უნივერსიტეტმა შეცვალა სტრუქტურა და შექმნა „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის მთავარი მიზანი ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაა. ამ სტრუქტურულ ერთეულს ჯერ არ დაუსრულებია ფაკულტეტებიდან დოკუმენტაციის გადმობარება, შესაბამისად, ვერ მოხერხდა პროგრამების განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის დამადასტურებელი მასალის ნახვა. ახალი სტრუქტურული ერთეულის ფარგლებში, კი რეგულაციებით გაწერილი საქმიანობა პროგრამის შეფასებისა და განვითარების კუთხით უახლოეს მომავალში იგეგმება.

2.4.1.1 დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პაკეტი მოიცავს ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმებს (ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის). სასწავლო გეგმა შედგენილია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით, პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის რაც დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგადაც დადასტურდა.

2.3.1.2 ცენტრს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესები, მათ შორის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობით სარგებლობის, მიღებული ფორმალური განათლების აღიარების, პროგრამის შეცვლის, ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები, შეფასებისა და აპელაციის პროცედურები, უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წარმომადგენლებსა და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე.

2.4.1.3 სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვლ სასწავლო გარემოში (სათანადო კომპიუტერული ტექნიკა, თვალსაჩინოების საშუალებები, პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში, რომელიც ასევე აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგებისათვის აუცილებელი სათანადო რესურსით. მოდულებში გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები.

2.4.1.4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია დადგეს: მობილობით ჩარიცხული სტუდენტის ინტეგრირების მიზნით; სტუდენტის სტატუსის აღსადგენად სტუდენტის ალტერნატიულ ჯგუფში ინტეგრაციის მიზნით; სსსმ სტატუსით ჩარიცხული სტუდენტისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის შექმნის მიზნით, რომელიც გამოწვეულია სამედიცინო აუცილებლობით და არ აფერხებს სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას ან სტუდენტთან შეთანხმებით, შესაბამისი დასკვნის/ოქმის საფუძველზე გამიზნულად ამცირებს სასწავლო დატვირთვას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.

2.4.1.5 დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებას შორის. ქუთაისის ბაგა-ბაღების გაერთიანებაში ერთიანდება ქალაქის 37 ბაღი, ბაგა-ბაღების გაერთიანება იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტების პრაქტიკის გავლისა და დასაქმების საქმეში.

2.4.1.6 „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თავისი შინაარსისა და სპეციფიკიდან გამომდინარე, არ ითვალისწინებს უსაფრთხოების განსაკუთრებულ ნორმებს. კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებაში დაცულია კოვიდრეგულაციები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების უსაფრთხო გარემოში მიღწევას.

2.4.2.1 პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებისას დადსტურდა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, წინასწარ ახდენენ სტუდენტის ინფორმირებას შედეგის დადასტურების თარიღთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული სტუდენტი ინფორმირებულია შეფასების პირობებთან დაკავშირებით, ამდენად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2.4.2.2 უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ 2021 წლის ზაფხულში ჩატარდა 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია საპილოტე რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა 18 მოდული (თითო პროგრამის თითო მოდული). ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღწერილია ვერიფიკაციის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები, რაც ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

2.4.2.3 პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ახდენს

მტკიცებულებების დაარქივებას და 3 წლის ვადით შენახვას, აღნიშნული დადასტურდა დაწესებულების სასწავლო პროცესზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრების შედეგადაც.
2.4.2.4 პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით, შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული განათლების მიმართულების სპეციალისტები. მონიტორინგის ჯგუფი შერჩევის გზით პერიოდულად ესწრება, როგორც მეცადინეობების, ასევე შედეგების დადასტურების პროცესს. მონიტორინგის ჯგუფი დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელსა და მოდულის განმახორციელებელს, ვისთანაც მოხდა დასწრება. თავის მხრივ, მოდულის განმახორციელებელი ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილავს პროფესიულ სტუდენტთან შეფასების შედეგებს, რაც მონიტორინგის ჯგუფის წევრებთან გასაუბრებითაც დადასტურდა.
შემდგომ ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა A და B გარემოს ამსახველი ფოტომასალა.
დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დაწესებულების წარმომადგენელს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ხელმძღვანელთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ პარალელურად დაინიშნა თანახელმძღვანელი. რეკომენდაციებთან დაკავშირებით ნაწილი სამუშაოებისა კვლავაც მიმდინარეობს, უახლოესი თვეების განმავლობაში ისინი სრულად იქნება შესრულებული. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია არა მარტო ბიბლიოთეკის ახალი კომპიუტერებით აღჭურვა, არამედ მისი სრული რემონტი. სავარაუდოდ, სარემონტო სამუშაოები სექტემბრისთვის დასრულდება. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის მეტად კომფორტული იქნება სასწავლო მასალაზე წვდომა და მათი გამოყენება.
საბჭოს წევრი შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა ბიბლიოთეკის საკითხით, ვინაიდან, ერთი მხრივ, დასკვნაში საუკეთესო გამოცდილების სახითაა შეტანილი თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბიბლიოთეკის არსებობა, მეორე მხრივ, კი განმავითარებელ რეკომენდაციაში საუბარია ბიბლიოთეკის უკეთ აღჭურვის საჭიროებაზე. ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტი შედგება რამდენიმე კორპუსისაგან. საუკეთესო გამოცდილება ეხება უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკას, ხოლო განმავითარებელი რეკომენდაცია მიემართება პროფესიული განათლებისთვის განკუთვნილ ცალკე საბიბლიოთეკო სივრცეს. პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ ცენტრალური ბიბლიოთეკის რესურსები, მაგრამ ეს მეტ დროსთან არის დაკავშირებული, რადგანაც ის პროფესიული სტდენტებისათვის გამოყოფილი სასწავლო გარემოდან შორს მდებარეობს.
გადაწყვეტილების მისაღებად საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.
საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტების პოზიცია და პროგრამა შეაფასა როგორც სრულად შესაბამისი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს უფლება, ქ. ქუთაისში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აღმზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 1).**

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გიორგობიანმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის N1386021 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - თამარ გიორგობიანი, წევრი - ხათუნა ფარეიშვილი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სამკერვალო წარმოების “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.
აკაკი წერეთლის უნივერსიტეტმა 2019 წელს დაიმატა რამდენიმე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, იმ პერიოდისათვის მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების ექსპერტების დასკვნის მაშინდელი ფორმები არ ითვალისწინებდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და შეფასების კომპონენტს, თუმცა 2020 წლის 14 აგვისტოს ავტორიზაციის ექსპერტების მიერ დაიწერა დასკვნა აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით, საიდანაც ირკვევა, რომ ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რეკომენდაცია, კურსდამთავრებულებთან მუშაობის გაძლიერებასთან დაკავშირებით.
მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით დაწესებულებას საკუთარი თავი შეაფასა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ექსპერტებმა გაიზიარეს აღნიშნული შეფასება. დაწესებულებამ წარმოადგინა განვითარების გეგმა 2.2 კომპონენტთან მიმართებაში.

ხარვეზი არ გამოვლენილა, გაიცა **რეკომენდაციები**:

2.2.1.1 იმის გათვალისწინებით, რომ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების დროს დაწესებულებას ცხადად უნდა ჰქონდეს გააზრებული პროფესიული სტუდენტების გამტარუნარიანობა როგორც თვითონ დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტზე,

სასურველია, მემორანდუმში/ხელშეკრულებაში წინასწარ გაიწეროს პროფესიული სტუდენტების ის რაოდენობა, რაზეც პარტნიორი კომპანია მზაობას გამოთქვამს, გარდა ამისა, სასურველია, დაწესებულებამ მდგრადობიდან გამომდინარე, გაზარდოს პარტნიორი კომპანიების რიცხვი, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო რისკები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით (აღსანიშნავია, რომ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა და „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მემორანდუმი გააფორმა სხვა კომპანიასთანაც).

2.2.1.5 სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე.

2.3.1.1 დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის მიზნით, სასურველია, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრმა გონივრულ ვადებში უზრუნველყოს მანამდე ფაკულტეტების ქუდქვეშ არსებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში.

2.4.1.6 „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვის“ მოდულის ერთ-ერთი შედეგი მოიცავს ტიპურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოების ნორმების დაცვას. სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის სახელოსნოს აღჭურვის შემდეგ, თვალსაჩინოდ გამოაკრას უსაფრთხოების ნორმები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგია და წარმოადგინა პროგრამის დამატების დასაბუთება. ის ადრე ახორციელებდა პროფესიულ პროგრამებს სამკერვალო წარმოების მიმართულებით, გარდა ამისა, ამ კუთხით უნივერსიტეტს აქვს როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამები. პროგრამაში ჩართულია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. დაწესებულება თავისუფლად შეძლებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებას. პროგრამაზე მიღების წინაპირობები სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილია პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის დასაბუთება პროგრამის ფარგლებში, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვს ჯამში 20 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო პროგრამაზე თითოეული ჩარიცხვისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 10 პროფესიული სტუდენტით. შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A, B და C სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით 10 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაში შემავალი მოდულები განხორციელდება როგორც უნივერსიტეტის ბაზაზე, ისე პარტნიორ კომპანიაში - სამკერვალო „იმერში“. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა არ მოიცავს არჩევით მოდულებს.

,,სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ნოემბრის N7(21/22)

დადგენილებით, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. „სამკერვალო წარმოების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებუალია „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე, პროგრამის სახელწოდება ჩარჩო-დოკუმენტის იდენტურია, შესაბამისად, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. „სამკერვალო წარმოების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე და განსაზღვრულია სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A,B და C სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით 10 პროფესიულ სტუდენტზე. მოდულები განხორციელდება როგორც უნივერსიტეტში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. „ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში არსებული მატერიალური რესურსი სრულად იქნება „სამკერვალო წარმოების“ პროგრამისათვის გამოყენებული, თუმცა ეს არ არის საკმარისი და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და წარმოდგენილო დოკუმენტებით გაირკვა, რომ სასწავლო დაწესებულება უახლოესი 5 თვის განმავლობაში გეგმავს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის მობილიზებას. ამას ადასტურებს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. ვიზიტის მიმდინარეობისას გაირკვა, რომ მოთხოვნილი თანხა უკვე დაწესებულების ანგარიშზეა და 2022 წლის 10 იანვრიდან შეუდგება თანხის მიზნობრივად ათვისებას. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, საგანმანათლებლო სივრცის მოწესრიგების დასრულება და საჭირო მატერიალური რესურსის შევსება დასრულდება 2022 წლის მარტის ბოლოს, რითიც დასტურდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულების მხრიდან, შესაძლებელი იქნება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებული ვადების მიხედვით.

გათვალისწინებული ვადების მიხედვით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სააქციო საზოგადოება სამკერვალო კომპანია „იმერთან“. მემორანდუმის მიზანია პროფესიული სტუდენტებისათვის პროფესიული უნარების განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობას გულისხმობს. სასურველია, მემორანდუმში/ხელშეკრულებაში წინასწარ გაიწეროს პროფესიული სტუდენტების ის რაოდენობა, რაზეც პარტნიორი კომპანია მზაობას გამოთქვამს, გარდა ამისა, სასურველია, დაწესებულებამ მდგრადობიდან გამომდინარე, გაზარდოს პარტნიორი კომპანიების რიცხვი, რათა თავიდან აიცილოს შესაძლო რისკები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით (დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მემორანდუმი გააფორმა სხვა კომპანიასთანაც).

პროგრამის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 17 (მათ შორის 10 პროფესიული მოდულის განმახორციელებელი) შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები მათი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით უფლებამოსილი არიან

განახორციელონ აღნიშნულ პროგრამაში შემავალი მოდულები, გარდა ამისა, მათთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა ჩართულია უნივერსიტეტის აკადემიური პროგრამების განხორციელებაში და აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება. გავლილი აქვთ ტრენინგ კურსები, რაც ადასტურებს მათი მხრიდან სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია - დამთავრებული აქვს ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის „სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგიის სპეციალობა და მინიჭებული აქვს ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაცია, საქვს მოდულების სწავლების გამოცდილება, ხოლო „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში არის რამდენიმე მოდულის განმახორციელებელი. ზედმიწევნით ერკვევა პროგამის სპეციფიკაში, მინაწილეობს მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებში, რაც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას.

ბიბლიოთეკას აქვს საკმაოდ დიდი სამკითხველო დარბაზი, ბიბლიოთეკარის ოთახში განთავსებულია ორი კომპიუტერი. სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე. როგორც უნივერსიტეტის პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელისგან გახდა ცნობილი, უნივერსიტეტი გეგმავს ამ კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკის გარემონტებასა და უფრო თანამედროვე კომპიუტერული რესურსებით აღჭურვას.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.

დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის შესაძლებლობას. რენტაბელობის ზღვარი დაწესებულებას დადგენილი აქვს 8 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით.

2020 წლამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის ფაკულტეტებზე იყო მიბმული, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული ყველა პროცესი (მათ შორის პროგრამის განხორციელება, შეფასება და განვითარება) ფაკულტეტების ქუდის ქვეშ მიმდინარეობდა. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ფაკულტეტებიდან არსებული ყველა დოკუმენტაციისა და მასალის გადმობარება და თავმოყრა, ამდენად, ვიზიტის დროს ვერ მოხერხდა მოქმედი პროფესიული პროგრამების ფარგლებში ჩატარებული პროგრამის შეფასებასა და განვითარებასთან დაკავშირებული მასალის დათვალიერება. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა მოგვაწოდა ინფორმაცია ახლად შემუშავებული გამოკითხვის ფორმების შესახებ, რომელიც უახლოეს მომავალში ჩატარდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის მიზნით, სასურველია, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრმა გონივრულ ვადებში უზრუნველყოს ფაკულტეტების ქუდქვეშ არსებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში.

დაწესებულება აანალიზებს გამოკითხვისგან მიღებულ შედეგებს და ითვალისწინებს აღმოჩენილ გარემოებებს. წარმოდგენილი სასწავლო გეგმით პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისათვის რაც დაწესებულების სასწავლო პროცესის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგადაც დადასტურდა. პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის დებულებაში გაწერილია ცენტრის სტრუქტურული ერთეულებისა და პერსონალის ფუნქციები. აღნიშნული ცენტრის ერთ-ერთი სტრუქტურული ერთეულია პროფესიული განათლების მიმართულება, რომელიც ცენტრის დებულებით გაწერილ სხვა საქმიანობასთან ერთად ახორციელებს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიული სტუდენტების ინტერესების

გათვალისწინებით, ცენტრს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, სადაც დეტალურადაა გაწერილი პროფესიული სტუდენტის ინტერესები. დაწესებულება მოქმედებს არსებული რეგულაციების თანახმად და რეაგირებს პროფესიული სტუდენტების შემხვედრ საჭიროებებზე.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით აღჭურვლ სასწავლო გარემოში, პრაქტიკული კომპონენტი ხორციელდება პარტნიორ ორგანიზაციაში, რომელიც ასევე აღჭურვილია პროგრამის სწავლის შედეგებისათვის აუცილებელი სათანადო რესურსით. მოდულებში გაწერილია სწავლებისა და შეფასების მეთოდები. პროფესიული სტუდენტებისათვის ინდივიდუალური გეგმის შედგენის პროცედურა გაწერილია დაწესებულების „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში". დაწესებულებაში არსებული, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ვებგვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვისა და შრიფტის გაზრდის ფუნქცია.დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.

„სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტი თანამშრომლობს სამკერვალო საწარმო „იმერთან". აღნიშნული საწარმო საკმაოდ წარმატებული კომპანიაა, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მუშაობს მათ შეკვეთებზე. აღნიშნული თანამშრომლობა დასტურდება კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმით.

„სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „გაცნობითი პრაქტიკა - სამკერვალო ნაწარმის ტექნიკური მოდელირება და კერვის" მოდულის ერთ-ერთი შედეგი მოიცავს ტიპურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოების ნორმების დაცვას. დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია „სანიტარული ნორმების დაცვის, წესრიგის დაცვის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, სახანძრო უსაფრთხოების მექანიზმები და ადაპტირებული გარემოს განვითარების გეგმა". კორონა ვირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, დაწესებულებაში დაცულია კოვიდრეგულაციები. სასურველია, დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამის სახელოსნოს აღჭურვის შემდეგ, თვალსაჩინოდ გამოაკრას უსაფრთხოების ნორმები.

პროგრამის ხელმძღვანელსა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, წინასწარ ახდენენ სტუდენტის ინფორმირებას შედეგის დადასტურების თარიღთან დაკავშირებით, ასევე პროფესიული სტუდენტი ინფორმირებულია შეფასების პირობებთან დაკავშირებით, ამდენად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

ცენტრის ხელმძღვანელის განკარგულებით იქმნება ვერიფიკაციის ჯგუფი, რომელში შეიძლება შედიოდეს ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. 2021 წლის ზაფხულში ჩატარდა 18 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ვერიფიკაცია საპილოტე რეჟიმში, რომლის ფარგლებშიც შემოწმდა 18 მოდული (თითო პროგრამის თითო მოდული). ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის მიერ წარმოდგენილ ანგარიშში აღწერილია ვერიფიკაციის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები, რაც ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტის შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია პროფესიული სტუდენტის მიერ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემებისა და მტკიცებულებების პროცედურა. დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულება ახდენს მტკიცებულებების დაარქივებას და 3 წლის ვადით შენახვას. შექმნილია მონიტორინგის ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფესიული განათლების მიმართულების ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი, პროფესიული განათლების მიმართულების

სპეციალისტები. მონიტორინგის ჯგუფი შერჩევის გზით პერიოდულად ესწრება, როგორც მეცადინეობების, ასევე შედეგების დადასტურების პროცესს. მონიტორინგის ჯგუფი დასწრების შედეგად გამოვლენილ გარემოებებს აცნობს პროგრამის ხელმძღვანელსა და მოდულის განმახორციელებელს, ვისთანაც მოხდა დასწრება. თავის მხრივ, მოდულის განმახორციელებელი ინდივიდუალურ რეჟიმში განიხილავს პროფესიულ სტუდენტთან შეფასების შედეგებს.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომელმაც დასძინა, რომ დაწესებულებას კარგად აქვს გათვლილი ახალი პროგრამის დამატების საკითხი. პრაქტიკის ობიექტის დამატებასთან დაკავშირებით რეკომენდაცია მხოლოდ განვითარების მიზნით გაიცა. ყველა კომპონენტი მოქნილი და და კარგად გაწერილია.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან ყურადღება გაამახვილა იმ კომპონენტების შესახებ, რომლებშიც საუბარია არასაკმარის მატერიალურ რესურსებზე. იმის გათვალისწინებით, რომ დღის წესრიგის პირველი საკითხიც აღნიშნულ დაწესებულებას ეხება, მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებული რეკომენდაციები ზოგადი ხასიათისაა და ეხება ყველა პროგრამას. მდგრადობისთვის დამატებით გაფორმდა მემორანდუმი სხვა კომპანიასთანაც, თუმცა არსებულ პარტნიორ კომპანიასთან წლების განმავლობაში მიმდინარეობდა თანამშრომლობა და რაიმე სახის პრობლემა აქამდე არ წარმოქმნილა. საბუთების გადაცემის პროცესი უახლოეს მომავალში დასრულდება, ნაწილი უკვე გადაცემულია. ბიბლიოთეკა განახლდება და აღიჭურვება. რესურსებთან მიმართებით მეტწილი შესაბამისობაა, აღჭურვილობა წინა პროგრამების ფარგლებში დაწესებულებას უკვე ჰქონდა, მაგრამ საჭიროა გაძლიერება, მათ შორის მანქანა-დანადგარებთან მიმართებაში. სარემონტო პროცესი დასრულდება უახლოესი 2 კვირის განმავლობაში, მონიტორინგისთვის დაწესებულება მზად იქნება ივნისის თვეში.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:212693049) მიენიჭოს უფლება ქ. ქუთაისში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 2).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „სამკერვალო წარმოების“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 ივნისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

საბჭოს შემოუერთდა საბჭოს წევრები: დეა აბულაძე 15:07 სთ-ზე და ნატალია კვაჭანტირაძე 15:40 სთ-ზე.

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ გიორგობიანმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 17 დეკემბრის N1386022 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარე - თამარ გიორგობიანი, წევრი - თამარ ახალაძე. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმება.
არსებული მატერიალურ რესურსების გათვალისწინებით, განაცხადში დაწესებულებას თავი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც მეტწილი, რაც ექსპერტებმაც გაიზიარეს. წარმოდგენილი იყო შესაბამისობის გეგმა.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა, გაიცა **რეკომენდაციები**:

2.2.1.5 სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდომობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე.
2.3.1.1 დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის უკეთ მართვის მიზნით, სასურველია, პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრმა გონივრულ ვადებში უზრუნველყოს მანამდე ფაკულტეტების ქუდქვეშ არსებული დოკუმენტაციისა და ინფორმაციის თავმოყრა პროფესიულ პროგრამებთან მიმართებაში.
დაწესებულებამ წარმოადგინა პროგრამის დამატების დასაბუთება. პროგრამის „ბაღის დიზაინი“ განხორციელების მიზანია უზრუნველყოს მებაღეობის სფეროსათვის ბაღის დიზაინის კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება. პროგრამა მეტად აქტუალურია, რადგანაც ადამიანის საცხოვრებელი გარემოს გამწვანება კეთილმოწყობა, დიზაინი, ესთეტიკური იერსახის ფორმირება მეტად მნიშვნელოვანია. პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებელთან გასაუბრებისას, რომელიც ქუთაისის ბოტანიკური ბაღის დირექტორის

მოადგილეა, გაირკვა, რომ დარგის განვითარებისა და არსებული გამოწვევებიდან გამომდინარე, აქტიური კომუნიკაცია აქვს ქუთაისის მერთან და ფიქრობს, რომ აქტიური კომუნიკაცია შესაბამის სტრუქტურებთან, ხელს შეუწყობს დარგის განვითარებას, მით უმეტეს, თუკი საგანმანათლებლო დაწესებულებები ხელს შეუწყობენ ქალაქსა და რეგიონს დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებით. მოცემული პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას არ ყავს პარტნიორი კომპანია, პროგრამა ითვალისწინებს მხოლოდ A და B გარემოს. ამ კუთხით უნივერსიტეტი ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, შესაბამისად, გააჩნია ადამიანური რესურსი დარგის თეორიული ცოდნით და პრაქტიკული გამოცდილებით. გადაწყვეტილება „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიასა და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის სხვა პროცედურები განსაზღვრულია უნივერსიტეტის „პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრის“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. უნივერსიტეტში შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია პროფესიული საგანმანათლებლო პრორამისათვის პროფესიული სტუდენტის ზღვრულ რაოდენობას განსაზღვრავს როგორც სასწავლო გარემოს სახეობის (A,B,C), ასევე პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის მიხედვით. დაწესებულება ითხოვს ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის მიღებას, ხოლო პროგრამაზე თითოეული ჩარიცხვისთვის პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება 15 პროფესიული სტუდენტით. შესაბამისად, დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად შეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A და B სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით 15 პროფესიულ სტუდენტზე. პროგრამაში შემავალი ყველა მოდული განხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე.საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

„ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ შეიცავს არჩევით მოდულებს.

„ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რაც ნიშნავს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ. პროგრამის სახელწოდება ჩარჩო-დოკუმენტის ერთ-ერთი კონცენტრაციის სახელს ატარებს, შესაბამისად, სრულად შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი. პროგრამის პაკეტი მოიცავს პროგრამის ძირითად დოკუმენტს, მოდულებსა და სასწავლო გეგმას და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობითა და სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ განაცხადს თან ახლავს დანართი მატერიალური რესურსების შესახებ, რომელიც სრულიად სეესაბამება პროგრამის სპეციფიკას და ითვალისწინებს A და B სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით 15 პროფესიულ სტუდენტზე. შემავალი ყველა მოდული განხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე. ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებას არ ჰქონდა მობილიზებული აღნიშნული რესურსი,პროგრამაში შემავალი ყველა მოდული განხორციელდება უნივერსიტეტის ბაზაზე. უახლოესი 5 თვის განმავლობაში იგეგმება პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის მობილიზებას, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა. თანხის მისაღებად გაფორმებულია

ხელშეკრულება სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან. მოთხოვნილი თანხა უკვე დაწესებულების ანგარიშზეა და 2022 წლის 10 იანვრიდან შეუდგება თანხის მიზნობრივად ათვისებას. საგანმანათლებლო სივრცის მოწესრიგების დასრულება და საჭირო მატერიალური რესურსის შევსება დასრულდება 2022 წლის მარტის ბოლოს. საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის დიზაინი“ არ ითვალისწინებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას.
მატერიალური რესურსით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საბჭოს წევრის მიერ დასმული კითხვის საპასუხოდ ექსპერტმა დააზუსტა, რომ საჭიროა სასწავლო გარემოს კეთილმოწყობა, აუდიტორიების შერემონტება.
განსაზღვრულია 16 შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოდულის პროფესიული განათლების მასწავლებელი, აქედან 10 პროფესიული მოდულების, ხოლო 6 ზოგადი მოდულის განმახორციელებელია. პროგრამაში ჩართული პირების დატვირთვა შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, შესაბამისად, პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები მათი კვალიფიკაციითა და გამოცდილებით უფლებამოსილი არიან განახორციელონ აღნიშნულ პროგრამაში შემავალი მოდულები, გარდა ამისა, მათთან გასაუბრების შედეგად გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა უნივერსიტეტთან არსებული ლანდშაფტური არქიტექტურის ჯგუფის „Greeb project star” მონაწილეა და ჩართულია აკადემიური პროგრამების განხორციელებაში, აქვთ მოდულური სწავლების გამოცდილება. ყველა მათგანს გავლილი აქვს ტრენინგ კურსები, რაც ადასტურებს მათი მხრიდან სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. აქვს დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია („მწვანე მშენებლობის ინჟინერი“, „სატყეო სქმის მაგისტრი“, უნივერსიტეტთან არსებული არქიტექტურის ჯგუფის „Green projects star” ხელმძღვანელი), აქვს მოდულების სწავლების გამოცდილება, ხოლო „ბაღის დიზაინის“ პროფესიული პროგრამის ფარგლებში არის რამდენიმე მოდულის განმახორციელებელი. ზედმიწევნით ერკვევა პროგამის სპეციფიკაში, იცნობს მოდულების შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და ვალიდაციის პროცედურებს, რაც ადასტურებს პროგრამის ხელმძღვანელის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციას.
დაწესებულების ბიბლიოთეკას აქვს საკმაოდ დიდი სამკითხველო დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სტუდენტებისათვის სამუშაო ადგილით, ბიბლიოთეკარის ოთახში განთავსებულია ორი კომპიუტერი. სასურველია, დაწესებულებამ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი კომპიუტერებით აღჭურვოს, რაც უფრო მოქნილს გახდის პროფესიული სტუდენტის ხელმისაწვდობობას მოდულით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო რესურსებზე. უნივერსიტეტი გეგმავს ამ კორპუსში მდებარე ბიბლიოთეკის გარემონტებასა და უფრო თანამედროვე კომპიუტერული რესურსებით აღჭურვას.
ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საფუძველზე მასწავლებელი უფლებამოსილი ხდება სასწავლო პროცესის ფარგლებში მიმართოს სწავლების განსხვავებულ ხერხებსა და სტრატეგიებს, გამოიყენოს სტუდენტისათვის ოპტიმალური სასწავლო გარემო, შეცვალოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობა. დაწესებულებაში არსებული, მათ შორის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. უნივერსიტეტის ვებგვერდს გააჩნია აუდიო წამკითხველი, აქვს კონტრასტის მართვისა და შრიფტის გაზრდის ფუნქცია. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, დადგინდა, რომ ამ ეტაპზე ინდივიდუალური გეგმის შედგენის აუცილებლობა არ დამდგარა.
დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სავარაუდო ბიუჯეტი შედგენილია სტუდენტთა იმ მინიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რომლის შემთხვევაშიც შემოსავლები უზრუნველყოფენ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევის

შესაძლებლობას. რენტაბელობის ზღვაერი დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 10 პროფესიულ სტუდენტზე გაანგარიშებით.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განხორციელება იგეგმება უკვე არსებულ ბაზაზე. დამატებით შესაძენი იყო რამოდენიმე დასახელების ინსტრუმენტი. არის შესაბამისი კომპიუტერული კლასი, თუმცა დამატებით შესაძენია გაძლიერებული მონაცემების მქონე კომპიუტერი, რათა მოხდეს იმ პროგრამების ჩატვირთვა, რომლებიც საჭიროა ბაღის დიზაინის პროგრამების განსახორციელებლად. არსებული კომპიუტერები სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, სწორედ ამიტომ არის გეგმაში 16 (15 სტუდენტის და 1 მასწავლებლის) კომპიუტერის შესყიდვა. შესყიდვების სამსახური ვადების გათვალისწინებით ახლო მომავალში შეძლებს პროგრამის დაკომპლექტებას. საჭირო თანხები უკვე მობილიზებულია.
სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც ისაუბრა მატერიალურ რესურსებთან დაკავშირებით. პროგრამას არ სჭირდება რთული რესურსები, თუმცა თავად დაწესებულებაც თვლის, რომ ჯერ მზად არ არის. 5-6 თვე საკმარისია იმისთვის, რომ შეიძინონ კომპიუტერები და მოაწყონ აუდიტორიები. დაწესებულებას აქვს გამოცდილება, აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები, ყავს შესაბამისი კადრები.
საბჭოს წევრი დაინტერესდა, ხომ არ აპირებს დაწესებულება დეკორატიული მებაღეობის პროგრამის დამატებას, ვინაიდან ეფექტური იქნება ამ ორი პროგრამის ერთ ლოკაციაში მოქცევა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში პროფესიული და უწყვეტი განათლების ცენტრი სულ 1 წელია რაც დაფუძნდა. ჩამოყალიბებულია განვითარების სტრატეგია, სადაც პროგრამების დამატება გათვალისწინებულია, თუმცა ამ ეტაპზე პრობლემას წარმოადგენს საჭირო სივრცეები.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბაღის დიზაინის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ:212693049) მიენიჭოს უფლება ქ. ქუთაისში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ბაღის დიზაინის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, "ბაღის დიზაინის" პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 ივნისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

4. ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-თვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თეა ლილუაშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის 2021 წლის 27 დეკემბრის N422464 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯი „კონსტრუტ2“-ის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება“ დამატების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციას, შესასწავლად გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, შეისწავლა და კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩაატარა გასაუბრება დაწესებულების წარმომადგნლებთან, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და პროგრამის ხელმძღვანელთან. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სასწავლო გარემო და გადაამოწმა საბიბლიოთეკო რესურსები. ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 17 იანვარს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალების გამოყენებით.
პროგრამის სახელწოდებაა აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება, განხორციელების ადგილი - ქ.ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის N28, განხორციელების ფორმა - მოდულური, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 40.
კოლეჯის გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას; დაწესებულების განმარტებით, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა განპირობებულია შემდეგით: პროგრამის მოთხოვნადობას ადასტურებს ინტერნეტში განთავსებული არაერთი ვაკანსია თუ სამშენებლო შინაარსის ტენდერები, სადაც აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების სპეციალისტები ესაჭიროებათ, ასევე ქვეყანაში არსებობს დეფიციტი ისეთი მაღალკვალიფიციური კადრებისა, რომლებიც აღნიშნული სამუშაოების შესრულებას პროფესიულ დონეზე უზრუნველყოფენ.
წინა ვიზიტის ფარგლებში **2.2.1** (7) კომპონენტთან მიმართებით გაიცა 2 რეკომენდაცია:
1. პროგრამის ბიუჯეტში შემოსავლები და ხარჯები გაიწეროს რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით - რეკომენდაცია შესრულებულია.
2. ბიუჯეტი თითოეული პროგრამისთვის (როგორც ინტეგრირებული, ასევე არაინტეგრირებული) გაიწეროს და რენტაბელობის ზღვარი გამოვლინდეს ცალ-ცალკე - რეკომენდაცია შესრულებულია.

გაიცა განვითარების რეკომენდაციები:
2.1.1(2) საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ წინაპირობებს. საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა შერჩევა ხორციელდება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული „ჩარიცხვის წესის და პირობების“ შესაბამისად.

განვითარების რეკომენაცია: ვინაიდან პროგრამა არ მოიცავს ინტეგრირებულ სასწავლო გეგმას, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი „საბაზო ზოგადი განათლება - იმ შემთხვევაში თუ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“.

2.2.1(7) პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისგან. შემოსავლებად განსაზღვრულია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება. რენტაბელობის ზღვრად განსაზღვრულია 14 მსმენელი.

განვითარების რეკომენდაცია: პროგრამის ბიუჯეტში „ზომის ერთეულად“ განისაზღვროს პროფესიული სტუდენტი და არა „მსმენელი“, ვინაიდან პროგრამა არ წარმოადგენს მომზადება/გადამზადების პროგრამას.

სულ პროგრამას განახორციელებს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება" პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციების ამაღლება 2022 წლის 30 მაისამდე პერიოდში. გასაუბრებისას იმ მასწავლებლებმა, რომლებთაც არ აქვთ სწავლების გამოცდილება, ასევე აღნიშნეს, რომ აუციებლად ჩაერთვებიან კოლეჯის დაგეგმილ ტრენინგებში. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საინჟინრო მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხი, სასწავლო საქმიანობასა და დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.

დაწესებულება პროგრამის განხორციელებას გეგმავს ქალაქ ზესტაფონში, ნ.ნიკოლაძის N28-ში მდებარე სასწავლო ფართზე. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას, პროგრამის განხორციელებისთვის განსაზღვრული გარემო აღჭურვილი ჰქონდა A ტიპის გარემოს შესაბამისი აღჭურვილობით. როგორც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, გეგმავენ A და B გარემოს შერწყმას, B გარემოსთვის კომპიუტერულ ტექნიკას შეიძენენ მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება კონსოლიდირებული ტენდერის შედეგები. დაწესებულებას გამოცხადებული აქვს ტენდერი სხვა აღჭურვილობებზე, რაც საჭიროა პროგრამის განსახორციელებლად. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ სამშენებლო კოლეჯ კონსტრუქტ2-ს აღჭურვილობის შეძენის მიზნით გამოეყო დაფინანსება 116,139 ლარის ოდენობით. აღჭურვილობის შეძენის პროცესის დასრულების ვადად განსაზღვრულია 2022 წლის 30 მაისი.

ექსპერტმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სასწავლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება გათვალისწინებულია საველე პირობებში კოლეჯის მიერ განსაზღვრული შესაბამისად აღჭურვილი C გარემოს გამოყენებით. დაწესებულებამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ბკ ქონსთრაქშენს შორის გაფორმებული ხელშეკრულება, კოლეჯის დაფუძნების შესახებ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს კომპანიის მხრიდან პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული სწავლის შედეგების რეალურ გარემოში მიღწევის უზრუნველყოფას.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იმით, თუ სად განხორციელდება პრაქტიკული კომპონენტი, არის თუ არა ზესტაფონში ან ქუთაისში შესაბამისი პროექტები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შპს ბკ ქონსთრაქშენთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს ვალდებულებას პრაქტიკულ კომპონენტთან დაკავშირებით. დარგის ექსპერტმა დასძინა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ტოპოგრაფიულ-აზომვითი სამუშაოების შესწავლა სავსებით შესაძლებელია საველე პრაქტიკით, სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო არ არის სამშენებლო ობიექტის არსებობა. გაცნობით პრაქტიკასთან დაკავშირებით კომპანიამ გამოხატა ნება, რაც პროფესიულ სტუდენტს დაეხმარება, იცოდეს მომავალში რა ტიპის სამუშაოზე და სად მოუწევს დასაქმება. თუკი ზესტაფონშიც იქნება სამშენებლო ობიექტები, სტუდენტებს დამატებით შეეძლებათ გავარჯიშება, თუმცა სწავლება ჩვეულებრივ რელიეფზეც შესაძლებელია. დაზუსტებული არ არის სად, კონკრეტულად რომელ ობიექტზე გაივლიან პრაქტიკას. პრაქტიკული სწავლების ყველა შედეგი მიღწეული იქნება კოლეჯის ბაზაზე, ხოლო ბკ ქონსთრაქშენი უზრუნველყოფს გაცნობით პრაქტიკას, ექსკურსიას. კოლეჯის C გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობა არის სრულყოფილი, შესაბამისად, აზომვითი სამუშაოების შესწავლა სრულებით შესაძლებელია კოლეჯის ბაზაზე, სადაც ასევე განხორციელდება პრაქტიკული პროექტი.
აღნიშნულთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან დასძინა, რომ ბკ ქონსთრაქშენის ძირითადი პროექტები მიმდინარეობს თბილისში, თუმცა პანდემიამდე ქუთაისსა და სამეგრელოში ჰქონდათ პროექტები. საკმაოდ დიდი კომპანიაა და პროექტებს აწარმოებს სხვადასხვა ლოკაციაზე. ვინაიდან მიმდინარე პროექტები არ არის დასავლეთ საქართველოში, სასწავლო პროგრამა განხორციელდება ზესტაფონში, გაცნობითი პრაქტიკა _ ბკ ქონსთრაქშენში, თბილისში. ამ ვიზიტს უზრუნველყოფს კოლეჯი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-თვის „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - სამშენებლო კოლეჯ „კონსტრუქტ2“-ს (ს/კ: 430035874) მიენიჭოს უფლება, ქ. ზესტაფონში დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 4).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულების“ პროგრამაზე 2.2.

კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 15 ივნისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

5. შპს ბარაკონის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მაია ომიაძემ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 27 დეკემბრის N1422465 ბრძანების საფუძველზე 2022 წლის 12 იანვარს განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შპს ბარაკონში (მისამართი: ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4, სართული 6) „საექთნო საქმის“ უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს ბარაკონში „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესრულების შემოწმება. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით და შეადგინა ვიზიტის დღის წესრიგი.
წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია „შპს ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დამატებოდა მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე - აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია და პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებულ ყველა ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული მოთხოვნა.
ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა და სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.
შპს ბარაკონი საგანმანათლებლო საქმიანობას „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4-ში, მე-6 სართულზე. „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია შესაბამისად აღჭურვილი ერთი AC გარემო (აუდიტორია N15), 25 ორადგილიანი მერხითა და სკამით და ერთი A გარემო (აუდიტორია N9), 22 ორადგილიანი მერხითა და სკამით. პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებულია ასევე სათანადოდ აღჭურვილი ორი B გარემო - კომპიუტერული ლაბორატორია - 20 და 10 პროფესიულ სტუდენტზე, ზოგადი მოდულის, „საინფორმაციო

ტექნოლოგიები - საექთნო საქმეში“ მისაღწევად. ერთცვლიანი სწავლების პირობებში მხოლოდ AC გარემოსა და A გარემოს რესურსი შეადგენს ჯამში 94 პროფესიულ სტუდენტს, ხოლო ორცვლიანი სწავლების პირობებში 188-ს. საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აუდიტორიები გათვალისწინებულია 30-30 პროფესიული სტუდენტისთვის. პროგრამაზე სამწლიანი სწავლების პირობებში, თითოეული აუდიტორია დატვირთულია მხოლოდ პირველი წელიწადნახევრის განმავლობაში, ხოლო პროგრამის მეორე წელიწადნახევარი (კლინიკური მოდულები) ხორციელდება პრაქტიკის ობიექტებზე, მათი გამტარიანობისა და პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ადამიანური, მატერიალური და პრაქტიკის ობიექტების რესურსების გათვალისწინებით, საექთნო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაძლებელია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 180 პროფესიულ სტუდენტამდე. კოლეჯში განთავსებულია სველი წერტილები (მათ შორის, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტებისათვის) და შენობის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი.

საექთნო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა ეფუძნება შრომის ბაზრის მოთხოვნებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადის თანახმად, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ექთნების დეფიციტია. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციით, ექთნებისა და ექიმის თანაფარდობა 4:1-ზე უნდა იყოს, მაშინ როდესაც ექთნისა და ექიმის თანაფარდობა ერთსაც არ უტოლდება. ზღვრული რაოდენობის გაზრდის ნაწილში დაწესებულებამ იხელმძღვანელა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ განხორციელებული კვლევით, „შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტი“, კურაციოს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზით, „ადამიანური რესურსი ჯანდაცვის სექტორში“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯანდაცვის და დაზღვევის ინსტიტუტისა და ბიზნესის სკოლის მიერ განხორციელებული კვლევით, „ექთნების საქმიანობის გარემოს მახასიათებლები და სამუშაოთი კმაყოფილება საქართველოში“ და საექთნო საქმის განვითარების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის N334 დადგენილებით.

პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით, გაფორმებულია ხელშეკრულებები შემდეგ ობიექტებთან: შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფო“, შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“, შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“, შპს „თბილისის პედიატრიული პრივატ კლინიკა“, შპს ლ. მანაგაძის სახელობის „ურولოგიის ეროვნული ცენტრი“, „ინფექციური პათოლოგიის შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამედიცინო პრაქტიკული ცენტრი“, სს „ევექსის ჰოსპიტლები“, ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“, შპს „ჰერა 2011“, სს „კ. ერისთავის სახელობის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ეროვნული ცენტრი“, შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“. აღნიშნულ კლინიკებთან გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს ინფორმაციას, თუ რომელი კლინიკური მოდულების განხორციელებას და რამდენი პროფესიული სტუდენტის მიღებას უზრუნველყოფს პრაქტიკის ობიექტი ერთ ეტაპზე/ერთი სასწავლო წლის განმავლობაში, იმ გაანგარიშებით, რომ კლინიკური სწავლების განმახორციელებელი ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა დაცული იყოს 1/7-თან. დაწესებულების საგანმანათლებლო სივრცეები, ასევე პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი კლინიკები თავის მფლობელობაში არსებული მატერიალური აღჭურვილობითა და რესურსებით, უზრუნველყოფენ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

კოლეჯის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, ირკვევა, რომ „საექთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 30 პროფესიული განათლების მასწავლებელი (მათ შორის ზოგად მოდულებს ახორციელებს - 9 (2 – „უცხოური ენა - საექთნო საქმეში (ინგლისური)“, 3 – „კომუნიკაცია საექთნო საქმეში“, 2 - „საინფორმაციო

ტექნოლოგიები-საექთნო საქმეში“, 2 - ქართული ენა A2/B1), პროფესიულ მოდულებს - 25 პროფესიული განათლების მასწავლებელი და კლინიკური მოდულებს - 36 პრაქტიკის ინსტრუქტორი. ექსპერტთა ჯგუფის მიერ კოლეჯ ბარაკონში განხორციელებული ვიზიტის დროს დადგინდა, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა არ აღემატება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმას. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციას. რომ აღნიშნული მოდულების განმახორციელებელ პირებს აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების გამოცდილება, ჩართულნი არიან შეფასების ინსტრუმენტების ბანკის შექმნაში, პროგრამის შემუშავების ნაწილში, გამოხატავენ მუდმივ მზაობას ტრენინგებში მონაწილებასა და სწავლების ინოვაციური მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით.

პროგრამას ჰყავს ორი კოორდინატორი, რომლებთანაც 2019 წლის 17 ივნისსა და 2021 წლის 01 დეკემბერს გაფორმებულია მომსახურების ხელშეკრულებები. აღსანიშნავია, რომ პროგრამიის კოორდინატორები ამავდროულად არიან პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელები და აკმაყოფილებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, აქვთ სამედიცინო განათლება და შესაბამის დარგში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. წარმოდგენილია კვალიფიკაციისა და პროფესიული გადამზადების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ბიბლიოთეკაში იყო ექსპერტის მიერ დასახელებული ლიტერატურა, როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით. რესურსების ხელმისაწვდომობას აადვილებს ის ფაქტიც, რომ კოლეჯი აქტიურად იყენებს ელექტრონულ ბიბლიოთეკას (open biblio) და ბეჭდური წიგნების კატალოგი განთავსებულია კოლეჯის ვებგვერდზე. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით, საბიბლიოთეკო წესით დამუშავებული სასწავლო რესურსით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

პროგრამაზე ამ ეტაპზე არ ირიცხება არცერთი სსსმ/შშმ პირი და შესაბამისად არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება. ექსპერტთა მხრიდან შესწავლილ იქნა სსსმ პირებისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების რეგულაცია, რომელიც საჯაროდ ხელმისწავდომია კოლეჯის ვებგვერდზე განთავსებულ სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში, აღწერილია შემოსავლები და ხარჯები. პროგრამის შემოსავალია ვაუჩერული დაფინანსება. კოლეჯის მიერ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია 14 პროფესიული სტუდენტით. ბიუჯეტში გაწერილია სხვადასხვა ხარჯები (პროგრამის განმახორციელებელი პირების ანაზღაურება, ადმინისტრაციული, მასალა-ნედლეულის, კომუნალური, საიჯარო და სხვა). ამდენად, აღნიშნული პროგრამის განხორციელების ფინანსური მდგრადობა უზრუნველყოფილია.

ექსპერტმა ფოტომასალის საშუალებით წარმოადგინა სასწავლო და საბიბლიოთეკო სივრცეები.

პროგრამა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დარგის ექსპერტს, რომელმაც დასძინა, რომ კოლეჯი ბარაკონი მთლიანად არის უზრუნველყოფილი პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური და ადამიანური რესურსით. შეფასდა ხელშეკრულებები, პროფესიულ მასწავლებლებთან და ხელმძღვანელებთან ჩატარდა გასაუბრებები, შესწავლილ იქნა მათი პირადი საქმეები, რითაც დასტურდება, რომ სრულად უზრუნველყოფილია პროგრამის მდგრადობა.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა კოლეჯის წარმომადგენელმა, რომელმაც გაიზიარა ექსპერტების მოსაზრებები და მადლობა გადაუხადა მათ გაწეული სამუშაოსათვის.
საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ გამოთქვა საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ კვოტის გაზრდის საკითხის განხილვისას უმჯობესი იქნებოდა ექსპერტებს აქცენტი გაეკეთებინათ იმ საკითხზე, თუ რა დამატებითი აქტივობების განხორციელება და რესურსების (მატერიალური, ადამიანური, სასწავლო) მობილიზება მოხდა გაზრდილი კვოტის უზრუნველყოფისათვის. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიღწეულია შეთანხმებები, რომლბშიც გათვალისწინებულია პროფესიული სტუდენტების გაზრდილი რაოდენობა. ყველა ხელშეკრულებას დანართად ახლდა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შპს „აკადემიკოს ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა“ ჯერჯერობით მხოლოდ კოლეჯ ბარაკონთან თანამშომლობს, აქვთ კარგი მოლოდინები აკადემიურ სტუდენტებთან ერთად პროფესიული სტუდენტების ჩართულობასთან დაკავშირებით. პროგრამაში ჩართულია 30 პროფესიული მასწავლებელი და 36 პრაქტიკის ინსტრუქტორი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბარაკონის „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.
ტექნიკური ხარვეზის გამო მეხუთე და მეექვსე საკითხის კენჭისყრაში ონაწილეობა ვერ მიიღო მარიამ ქუჩულორიამ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბარაკონს (ს/კ: 204877231) დანართით განსაზღვრულ „საექთნო საქმის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 180-ით **(დანართი 5).**

6. შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისათვის „ვეტერინარიის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ შორენა ხუბუნაიამ. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით. შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში ადმინისტრაციული წარმოების განხორციელების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 29 ნოემბრის MES 7 21 0001277499 ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანებით შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს შემადგენლობით: ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე - შორენა ხუბუნაია, წევრი - ირმა არსენაშვილი, დაევალა მიმდინარე წლის 9 და 10 დეკემბერს, „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს ილია-ილია ჭავჭავაძის სახელობის საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯში, ვიზიტის ადგილი - ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა.

მთლიანობაში ვიზიტის შედეგად დადგინდა მეტწილი შესაბამისობა: 2.1, 2.2 და 2.4 კომპონენტები შეფასდა მეტწილი შესაბამისობით.

მეტწილი შეფასება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

2.1.1.4 ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022);

2.2.1.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული შესაბამისობის გეგმა N1 და N2-ის მიხედვით, კოლეჯის მიერ სრულადაა იდენტიფიცირებული პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსის ნუსხა, ხოლო შესყიდვის პროცესისათვის განსაზღვრული დრო არ აღემატება 6 თვეს (აქტივობათა შესრულების მაქსიმალური ვადაა - 13.01.2022-26.06.2022);

2.4.1.1 კრიტერიუმი შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის კორექტირებას. კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პოცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს;

2.4.2.1 ინდიკატორი შეფასდა, როგორც მეწილად შესაბამისობაში. რისთვისაც, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმის მიხედვით, ირკვევა, რომ კოლეჯი გეგმავს პროფესიულის სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურების მარეგულირებელი აქტების შემუშავებას, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, ხოლო აქტივობათა შესრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

გაიცა გაუმჯობესების **რეკომენდაციები:**

2.1.1.1. რეკომენდებულია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და დამტკიცების პროცედურები თანმიმდევრულად გაწეროს ერთ დოკუმენტში და პრაქტიკაში გამოიყენოს კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტ(ებ)ით გათვალისწინებული წესები და პროცედურები.

2.1.1.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა მარეგულირებელ აქტებში განხორციელებული ცვლილებების ან პროცედურის მომწესრიგებელი ახალი აქტების დროულად ასახვა კოლეჯის ვებგვერდზე.

2.1.1.3. რეკომენდებულია შიდა მარეგულირებელ აქტში დაწესებულებამ ასახოს ზოგადი მიდგომები პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე, მათ შორის გაითვალისწინოს ადმინისტრაციული პერსონალის რესურსი, ხოლო კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრისას გაითვალისწინოს ამ პროგრამის განხორციელებისათვის შერჩეული კონკრეტული სასწავლო გარემოსა და რესურსების დატვირთვა და გამტარუნარიანობა, მათ შორის ისეთი სასწავლო გარემოსი, რომელიც ამავდროულად გამოიყენება კოლეჯის სხვა პროფესიული საგამანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

2.1.1.4 რეკომენდებულია დაწესებულებამ პროგრამის დანართის სახით განსაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ნუსხა.

2.1.1.6. რეკომენდებულია დაწესებულებამ შიდა მარეგულირებელ აქტებში გამოიყენოს მის უფლებამოსილებას მიკუთვნებული ტერმინები (მაგ.: საკანონმდებლო აქტის გამოცემის უფლებამოსილება კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას ცდება, იხ. ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონი მუხლი 7.) და შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავებისას გაითვალისწინოს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 01 ივლისის N414 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქმისწარმოების ერთიანი წესები“, მათ შორის: შიდა მარეგულირებელი აქტების შემუშავების მიდგომები - მუხლი 19 (ინსტრუქცია), მუხლი 23 (მოთხოვნები მმართველობითი დოკუმენტების ტექსტებისადმი).

2.1.1.8. რეკომენდებულია დაწესებულებამ სრულფასოვნად განსაზღვროს მოდულის განხორციელების მიდგომები, სწავლების ადგილი, ხოლო მოდულის განმახორციელებელი პირების შესახებ ინფორმაციის მოდულში მითითების შემთხვევაში, მართებულად განსაზღვროს განმახორციელებელთა სტატუსი და სხვა ინფორმაცია, ამასთან დაწესებულება უფლებამოსილია მოდულიდან ამოიღოს განმახორციელებელთა შესახებ ინფორმაცია და დაამტკიცოს პროგრამის ცალკე დანართის სახით.

2.2.1.1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის დაწესებულებას დაგეგმილი აქვს ცალკეული რესურსის შესყიდვა, რისთვისაც წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, შესყიდვის პროცესის დასრულების დრო არ აღემატება 6 თვეს.

2.2.1.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ განსაზღვროს პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვის სქემა, ხოლო ადმინისტრაციული პერსონალის აკადემიური მიმართულებით დატვირთვის ოდენობა დაადგინოს ცალსახად.

2.2.1.3. რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს პერსონალთან სახელშეკრულებო ურთიერთობები საქართველოს ორგანული კანონის - შრომის კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, კერძოდ მოდულური სწავლების მიდგომების გათვალისწინებით დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს ხელშეკრულების ვადა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.

2.2.1.4. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პროგრამის ხელმძღვანელთან სახელშეკრულებო ურთიერთობები, დააზუსტოს პერსონალის ვალდებულებები, ცალსახად განისაზღვროს პერსონალის დატვირთვის ოდენობა და შრომის ანაზღაურების ოდენობა.

2.2.1.5. რეკომენდებულია კოლეჯმა დაარეგულიროს ბიბლიოთეკაში არსებული ბეჭდური რესურსის განლაგება/საძიებო სისტემის სრულყოფა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნებს მათი მოკლე დროში მიკვლევადობა.

2.2.1.7 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ბიუჯეტში მიითებული რენტაბელური ზღვარის გათვალისწინებით მიღებული შემოსავლები ფარავს ამავე ბიუჯეტით განსაზრვრულ პროგრამის განხორციელების ხარჯს, თუმცა, რეკომენდებულია კოლეჯმა სწორად გაიანგარიშოს ბიუჯეტის შესაბამის კომპონენტით განსაზღვრული მონაცემები, მათ შორის: შემოსავლები დაიანგარიშოს რენტაბელური ზღვარის მიხედვით.

2.3.1.1 რეკომენდებულია დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმი თანმიმდევრულად გაწეროს ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, სადაც გათვალისწინებული იქნება შეფასებას დაქვემდებარებული პროცესები, პროცედურები, პასუხისმგებელი და ჩართულ პირები, შეფასების შედეგების მიღების გზები, ანალიზისა და გაუმჯობერების რეკომენდაციების შემუშავების საკითხები. ამასთან, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცესში სავალდებულოდ უნდა იყოს ჩართული პროგრამის ხელმძღვანელი, ვინაიდან ხარისხის უზრუველყოფის სამსახურის პერსონალი ვერ იქნება ყველა პროგრამის შინაარსის კვალიფიციური შემფასებელი.

2.3.1.2. რეკომენდებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და პროგრამის გაუმჯობესების მექანიზმები თანმიმდევრულად იყოს გაწერილი ერთ შიდა მარეგულირებელ აქტში, რაც გამორიცხავს რეგულირების საკითხების დუბლირებას, ხოლო შიდა მარეგულირებელ აქტებში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფს პროცესის ერთგვაროვან წარმართვას.

2.4.1.2. რეკომენდებულია დაწესებულებამ დაარეგულიროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში ცვლილებების განხორციელების პროცედურები.

2.4.1.4. რეკომენდებულია დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ინფორმირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისში მისი ჩართულობა, განსაზღვროს ინდივიდუალი სასწავლო გეგმის შემუშავებაზე პასუხიმგებელი და მონაწილე პირები და დოკუმენტის შემუშავების პროცედურული საკითხები. ასევე რეკომენდებულია დაწესებულებამ არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის რეგულირება განახორციელოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და აღნიშნული პროცესის მარეგულირებელი შიდა აქტები მოიყვანოს შესაბამისობაში კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

2.4.2.3. რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშავოს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რაც კოლეჯს დაეხმარება პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მტკიცებულებების მოკლე დროში მიკვლევადობის უზრუნველყოფაში.

ექსპერტმა დამსწრე საზგადოებას წარუდგინა სასწავლო გარემოსა და პრაქტიკის ობიექტების ამსახველი ფოტომასალა.

პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები, რომელთაგან შპს „ვეტებთან“ და შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს ერთვის კონკრეტული მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო მატერიალური რესურსის არასრული ჩამონათვალი. პრაქტიკის თითოეულ ობიექტზე დაგეგმილია სხვადასხვა მოდულის სწავლის შედეგების მიღწევა, თუმცა კოლეჯმა მხოლოდ 3 ობიექტის დათვალიერება უზრუნველყო. შპს „ვეტები“ ფუნქციონირებს ვეტერინარული ფარმაციის, ვეტერინარული ქირურგიის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მიმართულებით, შპს „მატადორი“ ახორციელებს ცხოველის დაკვლისწინა და დაკვლისშემდგომ პროცედურებს, ხოლო ინდ.მეწარმე „ზვიად სიბოშვილი“ საკუთარი ფერმის (საქონლის, ღორის) ფარგლებში უზრუნველყოფს ცხოველთა კეთილდღეობის ზრუნვისა და კვების სამუშაოებს. პრაქტიკის სამივე ობიექტს აქვთ ყველა რესურსი საკუთარი საწარმოო პროცესის განსახორციელებლად იმ ოდენობით, რაც მათი მასშტაბის ადეკვატურია, თუმცა რიგ შემთხვევებში არაა შესაბამისობაში

ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ ოდენობასთან. რაც შეეხება შპს მეცხოველეობის სანაშენე კოოპერატივ „მომშენებელს“, კოლეჯის წარმომადგენელთა განმარტებით, ახორციელებს დამკვეთთა ადგილზე მომსახურებას, აქვს ვეტერინარული პროცედურებისა და მანიპულაციებისათვის საჭირო ყველა რესურსი და კოლეჯთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა სწავლებას.
მთლიანობაში დაწესებულებას გასაუმჯობესებელი აქვს შიდა პროცესები. თუკი ის გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს განახორციელებს და შეისყიდის რესურსს, შეძლებს პროგრამის სრულყოფილად განხორციელებას. გეგმების შემუშავების საჭიროება დადგა თავიდანვე არასწორი მიდგომით. რესურსების სწორი იდენტიფიცირებითა და გადანაწილებით ხარჯი იქნებოდა არიდებული. დიდი ფინანსური რესურსი დაიხარჯა ცალკეულ ინსტრუმენტებზე, რომელთა კოლეჯის ბაზაზე არსებობის აუცილებლობა არ ყოფილა. ცხოველებზე მანიპულაციის ჩატარების ინსტრუმენტების კოლეჯში არსებობის საჭიროება არ არის, როდესაც ისინი პრაქტიკის ობიექტებზე მოიპოვება. უფრო ეფექტური იქნებოდა ამ ინსტრუმენტებზე დახარჯული თანხის გამოყენება სხვა საჭირო აღჭურვილობაზე. დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაციები და ისინი ასახა გეგმაში.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს. მან აღნიშნა, რომ პროგრამის განმახორციელებლები არიან დარგის წამყვანი კვალიფიციური სპეციალისტები. პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულებებით კარგად არის წარმოდგენილი, ჩაშლილია მოდულების განხორციელების ადგილები. თითოეული სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელმაც გაიზიარა ექსპერტების მოსაზრებები და რეკომენდაციები, წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმები. კოლეჯი ფოკუსირებულია ექსპერტების მიერ დასმულ აქცენტებზე და მაქსიმალურად ცდილობს მონიტორინგისთვის იყოს სრულიად მომზადებული.
საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა შორენა ჯაფარიძემ. მან დასძინა, რომ 2.1 კომპონენტი შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი, რაც ნიშნავს, რომ მთლიანობაში სტანდარტი 2 შეფასებულია როგორც ნაწილობრივად შესაბამისი. ავტორიზაციის დებულების მიხედვით, დაწესებულება პროგრამას ვერ დაიმატებს. 2.1. კომპონენტი, რომელიც შეფასებულია მეტწილად, გულისხმობს, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს სწავლის შედეგებზე გასასვლელად საჭირო რესურსები. ეს არ ეხება მატერიალური რესურსის ფიზიკურად ფლობას, უნდა უბრალოდ არსებობდეს მისი ჩამონათვალი, რომელიც როგორც წესი მოცემულია ჩარჩო დოკუმენტში და დაწესებულებები ხშირად უცველი სახით წარმოადგენენ პროგრამაში. დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების გეგმა. მეორე გეგმაში უკვე სრული ჩამონათვალი იყო მოცემული, შესაბამისად, 2.1 კომპონენტი შეფასებული უნდა ყოფილიყო როგორც სრულად შესაბამისი. 2.2. კომპონენტი მატერიალური რესურსის ნაწილის ადგილზე არ არსებობის გამო, ექსპერტებმა შეაფასეს როგორც მეტწილი შესაბამისობა და ამ შემთხვევაში ეს სრულუად რელევანტირუა.
გადაწყვეტილების მისაღებად საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო. საბჭომ არ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნა 2.1 კომპონენტის მეტწილ შესაბამისობასთან დაკავშირებით და კომპონენტი შეაფასა, როგორც სრულად შესაბამისი. 2.2 კომპონენტთან დაკავშირებით საბჭომ მიზანშეწონილად ჩათვალა მონიტორინგის დანიშვნა 2022 წლის 25 ივნისს .
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯისათვის „ვეტერინარიის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, შპს ილია - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივ კოლეჯს (ს/კ: 238134425) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 6).**
საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით, „ვეტერინარიის“ პროგრამაზე 2.2. კომპონენტის შემოწმების მიზნით. მონიტორინგის განხორციელების პერიოდი 2022 წლის 25 ივნისიდან. მონიტორინგის განხორციელების ფორმა განისაზღვროს ცენტრის მიერ ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე.

სხდომიდან გავიდნენ: დეა აბულაძე 1&:05 საათზე, ნატალია კვაჭანტირაძე 17:30 საათზე.

7. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „გემბანის რიგითი მეზღაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

8. შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა

დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-7 და მე-8 საკითხები წარმოდგენილ იქნა პარალელურად.
საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - განაცხადი პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
საკითხები საბჭოს სხდომაზე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ მანანა მოისწრაფიშვილმა. იგი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და საკითხის განხილვა დაიწყო ვიზიტების საერთო მიმოხილვით. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.12.2021 წლის N 1351514 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება, ხოლო სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.12.2021 წლის N 1351466 ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელი ცენტრი ეკვატორის მიერ პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტით ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შეფასება.
შემოწმების მიზნით განხორციელდა ფიზიკური ვიზიტი ქ. ბათუმში ა.წ. 27 და 28 დეკემბერს ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტის (მანანა მოისწრაფიშვილი) და დარგის ექსპერტის (ნინო გორგოშაძე) მიერ. შემოწმების შედეგად 2.2. კომპონენტი შეფასდა სრულ შესაბამისობად. ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

ორივე პროგრამასთან მიმართებაში გაიცა ერთი და იგივე განმავითარებელი რეკომენდაციები:
2.2.1.2. პროგრამების განხორციელების ადმინისტრირების გაუმჯობესების მიზნით სასურველია პროფესიული განათლების მასწავლებლების საათობრივი დატვირთვები შედგენილი იყოს იმგვარად, რომ მარტივად შეიძლებოდეს თითოეული მასწავლებლის ჯამური დატვირთვის კონტროლი სხვადასხვა ჯგუფებისა და პროგრამების სწავლების შემთხვევაში.
დატვირთვები არსებობდა, მაგრამ იყო ცალ-ცალკე თითოეული პროგრამის შემთხვევაში. ამ პროგრამებში იყო ერთი და იგივე რესურსი, რომელიც უნდა დაჯამებულიყო. შესაბამისად, რეკომენდაცია გაიცა ადმინიტრირების პროცესის გაუმჯობესებისათვის. დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია.
2.2.1.7. სასურველია დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტირებისას ცალ-ცალკე გამოყოს პროგრამის განხორციელების ხარჯებში პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებისა და სახარჯი მასალების ბიუჯეტი, ვინაიდან ეს უკანასკნელი წარმოადგენს თითოეული პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევისთვის გასაწევ აუცილებელ ხარჯს.
პროგრამის ბიუჯეტი შედგება შემოსავლებისა და ხარჯების ნაწილისაგან. პროგრამის ადმინისტრირება ფინანსურად უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტის გადახდილი სწავლის საფასურისგან. ბიუჯეტის 80% დათმობილი აქვს სწავლების კრებსით ხარჯებს, თუმცა მასში არ ჩანდა რა ნაწილი ეთმობოდა მასწავლებელთა ანაზღაურებას, პროგრამის განვითარებასა და სასწავლო ხარჯებს.
„საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრს ეკვატორი“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ სწავლების უფლება მოპოვებული აქვს ავტორიზაციის გზით 2019 წელს 80 პროფესიული სტუდენტისთვის. ამჟამად, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადი 30 პროფესიული სტუდენტის დამატების შესახებ, ჯამში ზღვრული რაოდენობის გაზრდა 110 პროფესიულ სტუდენტამდე. დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ აღნიშნულ პროფესიულ პროგრამაზე ფიქსირდება სწავლის მსურველთა მაღალი მოთხოვნა. ასევე, გემბანის მეზღვაურის დასაქმებაზე გაზრდილია ვაკანსიები. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ პროგრამის ხანგრძლივობა 16 თვეა, რის გამოც კოლეჯი პროფესიულ სტუდენტებს იღებს წელიწადგამოშვებით.

პროგრამის ,,გემბანის რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 12 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობების დაკმაყოფილებისთვის დამატებით გააფორმა ხელშეკრულება 3 პროფესიულ მასწავლებელთან. ამ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 5 პროფესიული მასწავლებელი.
პროგრამის ,,სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური“ განხორციელებისთვის კოლეჯს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული 14 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის პირობების დაკმაყოფილებისთვის დამატებით გააფორმა ხელშეკრულება 3 პროფესიულ მასწავლებელთან. ამ პროფესიული განათლების მასწავლებელთა შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 6 პროფესიული მასწავლებელი.
ორივე პროგრამისთვის მასწავლებელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისია.
კოლეჯს აქვს მდიდარი და კეთილმოწყობილი ინფრასტრუქტურა, პროგრამის შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი. პროგრამების განხორციელებისთვის გამოყოფილია 2 A და 2 B გარემოები. ,,გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროგრამისათვის A გარემოს აუდიტორიები აღჭურვილია 30 დ 40 პროფესიული სტუდენტისთვის. კოლეჯს გააჩნია ასევე 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 50 პროფესიულ სტუდენტზე მოწყობილი საკონფერენციო ოთახი. თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები მასწავლებლებისათვის, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს ორი აუდიტორიაში განთავსებულია სულ 30 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები. C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, გემის ხიდურის სიმულატორი, რადიოლოკაციური სიმულატორი, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა, სამღებრო საქმის შესწავლისთვის საჭირო ინვენტარი და აღჭურვილობა და სხვა. საერთო ჯამში გემბანის რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები 110 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ერთ ცვლაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 110 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.
„სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღაურის“ პროგრამისათვის A გარემო აღჭურვილია 30 - 30 პროფესიული სტუდენტისთვის. დაწესებულებას აქვს 1 კაბინეტი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის და 1 საკონფერენციო ოთახი 40 პროფესიული სტუდენტისათვის. A გარემოს თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია კომპიუტერები, პროექტორები, ეკრანები, სასწავლო თვალსაჩინოების პლაკატები, B გარემოს 1 ოთახში განთავსებულია 20 პროფესიული სტუდენტისთვის პერსონალური კომპიუტერები, ხოლო მეორეში 10 კომპიუტერი. C გარემოში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობები და საწვრთნელი ტრენაჟორები, სამაშველო ტივი, სამანქანე განყოფილების სიმულატორი, საბურღი დაზგა, 200 კვ-ტიანი შიდა წვის ძრავი, დიზელგენერატორი, დამხმარე მექანიზმები, პირველადი დახმარების სამედიცინო კაბინეტი, სადაც განთავსებულია სამედიცინო მულაჟები და შესაბამისი სამედიცინო აღჭურვილობა, ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი და ხანძართან ბრძოლის წვრთნების ჩატარებისთვის საჭირო აღჭურვილობა დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი შესაბამისობაშია სამანქანე

განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროგრამით დადგენილ მოთხოვნებთან და ასევე აკმაყოფილებს საზღვაო სფეროში არსებულ საერთაშორისო კონვენციებით და სტანდარტებით განსაზღვრულ პირობებსა და რეგულაციებს. საერთო ჯამში სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის მოწყობილია A, B და C გარემოები 90 პროფესიული სტუდენტის სწავლებისთვის ერთ ცვლაში; ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოლეჯის მიერ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობისთვის - 90 პროფესიული სტუდენტი - პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით.
პრაქტიკის უზრუნველყოფისათვის კოლეჯს ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 110 გემის საგემბანე განყოფილების რიგითი მეზღვაურისა და 90 გემის სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის პროფესიული სტუდენტის პრაქტიკით უზრუნველყოფის მიზნით და ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს „სენდ“-თან 150 პროფესიული სტუდენტის საწარმოო პრაქტიკის შეუფერხებლად გატარების უზრუნველსაყოფად. შპს „სენდი“ არის ათეულობით გემის ფმლობელი, რომლებზეც გადანაწილდებიან პროფესიული სტუდენტები.

- ორივე პროგრამის პროფესიული განათლების დონე არის მე-3;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციებია - „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში“ და „საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში“;
- „გემბანის რიგითი მეზღაურის“ პროგრამისთვის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა 110, ხოლო „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღაურის“ პროგრამისათვის - 90;

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანი დალაქიშვილი დაინტერესდა, არის თუ არა პროგრამაში ჩადებული სამოქალაქო განათლების ახალი მოდული. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ 2022 წლის ივნისამდე ესწრებოდა სამოქალაქო განათლების მოდულის დასრულება, იანვარში ცენტრში გაიგზავნა სამოქალაქო განათლების ახალი მოდული. ვიზიტისას პროგრამაში ახალი მოდული შეტანილი არ ყოფილა. ნანი დალაქიშვილმა დასძინა, რომ დამატებით საჭირო იქნება აღნიშნულის კორექტირება.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ბიბლიოთეკის, აღჭურვილობის, სასწავლო გარემოს, ადაპტირებული საპირფარეშოებისა და კიბეების ამსახველი ფოტომასალა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ სიტყვა გადაეცა დარგის ექსპერტს, რომელმაც აღნიშნა, რომ პროგრამებზე ხდება 30 პროფესიული სტუდენტების დამატება. დაწესებულებამ ექსპლუატაციაში შეიყვანა ახალი სასწავლო სივრცე. მანამდე მხოლოდ ერთი სართული გამოიყენებოდა, ახლა ერთი გამოიყენება პროფესიული სწავლების აუდიტორიებისათვის, ხოლო მეორე _ საწვრთნელი ცენტრისთვის, მოქმედი მეზღვაურების მოკლე კურსებისათვის. ძველ პირობებში, იმ პერიოდში, როდესაც საწვრთნელ პრაქტიკას გადიოდნენ პროფესიული სტუდენტები, დაწესებულებას ჰქონდა წყვეტა. თეორიული სწავლებისათვის მიღებულ ნაკადს ახლანდელ ვითარებაში პრობლემები აღარ შეექმნება. ცალკე მისამართზეა განთავსებული სპეციფიკური საწვრთნელი მოწყობილობები (მაგალითად, სახანძრო ტრენაჟორი, აუზი). დახურული აუზი სტანდარტების შესაბამისაადაა აღჭურვილი, დაცულია უსაფრთხოების ზომები. გარდა შპს „სენდისა“, ხელშეკრულება გაფორმებულია ბათუმის საზღვაო ნავსადგურთან, რომლის მფლობელობაშია 11 მცურავი საშუალება. მასწავლებლებს უდასტურდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია. ორივე მიმართულებით სასწავლებელმა დაიმატა 3-3 პროფესიული მასწავლებელი, საათობრივი გადანაწილება საკმარისია პედაგოგების დატვირთვის გათვალისწინებით. ბიბლიოთეკაში ყველა მოდულთან დაკავშირებით არის სახელმძღვანელოები.

შორენა ჯაფარიძე დაინტერესდა, ვინაიდან მასწავლებლები არიან მოქმედი მექანიკოსები და კაპიტნები, ხომ არ არის სტუდენტების მასწავლებლის გარეშე დარჩენის საფრთხე მასწავლებლების მიერ გემზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მასწავლებლების უმეტესობა საზღვაო საქმით აღარ არის დაკავებულნი და ძირითადად მუშაობენ ნავსადგურში ან საწვრთნელ დაწესებულებებში. ამ კუთხით პრობლემა არ არსებობს.
საკუთარი პოზიცია დააფიქსირა დაწესებულების წარმომადგენელმა. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. დაწესებულებამ გაიზიარა ორივე რეკომენდაცია და შეიმუშავა შესაბამისი დოკუმენტი.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „გემბანის რიგითი მეზღაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს (ს/კ: 245624819) დანართით განსაზღვრულ „გემბანის რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 110-ით **(დანართი 7).**
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორის „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზღვაო სასწავლო საწვრთნელ ცენტრ ეკვატორს

(ს/კ: 245624819) დანართით განსაზღვრულ „სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაურის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 90-ით **(დანართი 8).**
საბჭოს გადაწყვეტილებით, დღის წესრიგით გათვალისწინებული მე-9 და მე-10 საკითხები გადატანილ იქნა შემდეგ სხდომაზე.

საბჭოს წევრმა დეა აბულაძემ საბჭოს სხდომა დატოვა 14:29 საათზე, დაბრუნდა 15:17 საათზე და ისევ დატოვა 17:02 საათზე.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:52 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რზგოევა ქრისტინა

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	აღმზრდელი
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	სამკერვალო წარმოება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	ბაღის დიზაინი
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მებაღეობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0812
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ქუთაისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N21
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	85
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	115

დანართი 4

პროგრამის სახელწოდება	აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულება
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აზომვით-ტოპოგრაფიული სამუშაოს შესრულებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0731
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.ზესტაფონი, ნ.ნიკოლაძის N28
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	40
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

დანართი 5

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას (ყოფილი ჯიქიას) N4, სართული 6
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	180
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

დანართი 6

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. საგარეჯო, ლეონიძის ქ. N33ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	20
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

დანართი 7

პროგრამის სახელწოდება	გემბანის რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, შავშეთის 29, ბათუმგორის ჩიხი 2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	110
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	91
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	106

დანართი 8

პროგრამის სახელწოდება	სამანქანე განყოფილების რიგითი მეზღვაური
პროფესიული განათლების დონე	მესამე დონე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, შავშეთის 29, ბათუმგორის ჩიხი 2
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	90
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (*არსებობის შემთვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	102